



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	სლავური ფილოლოგია Slavic Philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი სლავური ფილოლოგიის მაგისტრი Master of Slavic philology სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრი სლავური ფილოლოგიაში / Master of Research in Slavic philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი • მოდულის სავალდებულო კურსები: 20 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი • მოდულის სავალდებულო კურსები: 10 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ასოც. პროფ. მარინე ალექსიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება; 4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა რუსულ ფილოლოგიაში. ➤ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ➤ უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით); ➤ წერიტი გამოცდა სპეციალობაში. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ სლავური ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს სლავურ ფილოლოგიაში ისეთ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მაგისტრი: 1. ავლენს სისტემურ ცოდნას ძველი სლავური ენისა და ქრისტიანობის მიღების შემდგომი სლავური კულტურისთვის



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	დამახასიათებელ საერთო და განსხვავებულ ტენდენციებსა და ნიშნებზე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში; მიმოხილავს იმ მნიშვნელოვან წვლილს, რაც სლავურმა კულტურამ ევროპულ და, ზოგადად, მსოფლიო კულტურაში შეიტანა. 2. ერკვევა მოდულის მაპროფილებელი ენის ზოგადთეორიულ ასპექტებში, ენობრივი სისტემის არსებით მახასიათებლებში, აქვს რუსული/პოლონური/უკრაინული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები და ეფექტურად იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა; 3. ერკვევა სლავურ სამყაროში მიმდინარე ენობრივი და ლიტერატურული, ასევე ისტორიულ-კულტურული მოვლენებისა და პროცესების არსში. 4. ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და სხვა ტრანსფერული უნარების, მოდულის ენის საკომუნიკაციო ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება კვალიფიკაციის შესაბამისად. 5. აქვს მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკა. სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს სლავურ ფილოლოგიაში ისეთ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მაგისტრი: 1. ავლენს სისტემურ ცოდნას ძველი სლავური ენისა და ქრისტიანობის მიღების შემდგომი სლავური კულტურისთვის დამახასიათებელ საერთო და განსხვავებულ ტენდენციებსა და ნიშნებზე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში; მიმოხილავს იმ მნიშვნელოვან წვლილს, რაც სლავურმა
--	--



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	კულტურამ ევროპულ და, ზოგადად, მსოფლიო კულტურაში შეიტანა; იცნობს და ერკვევა სლავური ფილოლოგიის სამეცნიერო პრობლემატიკაში; 2. საფუძვლიანად ერკვევა მოდულის მაპროფილებელი ენის ზოგადთეორიულ ასპექტებში, ენობრივი სისტემის არსებით მახასიათებლებსა და კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებში, აქვს რუსული/პოლონური/უკრაინული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები და ეფექტურად იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკულ თუ აკადემიურ-კვლევით საქმიანობაში, რაც მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა; 3. სიღრმისეულად სწვდება სლავურ სამყაროში მიმდინარე ენობრივი და ლიტერატურული, ასევე ისტორიულ-კულტურული მოვლენებისა და პროცესების არსს, აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით. 4. დარგობრივ სფეროში საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და სხვა ტრანსფერული უნარების, მოდულის ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება საგანმანათლებლო, სასწავლო თუსამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში, ან აგრძელებს სწავლას სადოქტორო საფეხურზე. 5. გათავისებული აქვს ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პასუხისმგებლობა, მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკა.
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სლავური ფილოლოგია). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ორივე ნაწილის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული სლავური ფილოლოგიის მაგისტრი • მიმოიხილავს სლავური ტომების მიერ ქრისტიანობის მიღების ისტორიასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს; აღწერს ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ დაწყებულ მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს სლავურ კულტურაში ზოგადად, კერძოდ კი ლიტერატურისა და საგანმანათლებლო კერების დაარსების კუთხით; ჩამოთვლის სლავი ტომების დაყოფის მთავარ ფაქტორებს სოციალური, პოლიტიკური და თეოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით; განიხილავს სლავური კულტურის მახასიათებელ ნიშნებსა და თავისებურებებს; • გადმოსცემს ძირითად ცნობებს ძველი სლავური ენის და სლავური დამწერლობის აღმოცენების და შემდგომი ფუნქციონირების ისტორიიდან; ჩამოთვლის ძველი სლავური ენის სისტემის ფონეტიკურ და გრამატიკულ აგებულების ძირითად პრინციპებს მათი წარმოშობის თვალსაზრისით და მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; • სისტემურად აღწერს რუსული/პოლონურ/უკრაინული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს სკოლებს, ცალკეულ ავტორებსა და მათ პროზაულ-პოეტურ ნაწარმოებებს, კონკრეტული ნაწარმოებების სოციალური კონტექსტის განმპირობებელ ისტორიულ ფაქტებს, მხატვრულ სახეებს, წამყვან ჟანრებს; ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების მთავარ იდეებსა და ტენდენციებს. • ახდენს 18-20 ს-ის რუსული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემატიკის ინტერპრეტირებას; მიმოიხილავს თანამედროვე რუსული ენის აქტუალურ პრობლემათა წრეს.
ბ) უნარები	• ერთმანეთს უდარებს აღმოსავლეთ სლავური და დასავლეთ სლავური ხალხების ძირითად მსგავსებებსა და განსხვავებებს განათლების, ლიტერატურის, სამონასტრო კულტურისა და ხელოვნების დარგში; აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების ანალიზის



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საფუძველზე ახდენს იმ ეპოქის სოციალური და თეოლოგიური მოვლენების რეკონსტრუქციას და სწორად აღქმას; • კითხულობს ძველ სლავური კირილიცით დაწერილ საშუალო სირთულის ტექსტებს; ერთმანეთს ადარებს თანამედროვე სლავური ენების ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ერთი სათავეებიდან - წინარე სლავური ენიდან - მოდიან; • ქმნის მედია პროდუქციას ინფორმაციის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკის გამოყენებით; მაქსიმალური ეფექტურობით ავლენს პროფესიულ-პირად და ვერბალურ ურთიერთქმედების უნარებს; აანალიზებს მედიას კულტურისა და პუბლიცისტური სამეტყველო აქტივობის თვალსაზრისით • აანალიზებს მხატვრული ტექსტის ფორმებსა და ძირითად ცნებებს, სტილისტიკის პრინციპებსა და კატეგორიებს; განსხვავებს ავტორთა სტილისტურ თავისებურებებს. • ისმენს, კითხულობს, თარგმნის, განმარტავს, ადგენს მოდულის მაპროფილებელ ენაში (პოლონური/უკრაინული)სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში. ათვისებულ ლექსიკური მარაგს თავისუფლად იყენებს საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში; თარგმნის სხვადასხვა სირთულის ტექსტებს (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული).
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ავლენს ეთიკურ, კულტურულ, პროფესიულ პასუხისმგებლობას; განსხვავებული აზრის მოსმენის უნარს, • პატივს სცემს ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურულ ღირებულებებს.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული სლავური ფილოლოგიის კვლევის მაგისტრი • სისტემურად მიმოიხილავს სლავური ტომების მიერ ქრისტიანობის მიღების ისტორიასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს; აღწერს ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ დაწყებულ მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს სლავურ კულტურაში ზოგადად და ამ საკითხების სამეცნიერო კვლევის პრობლემატიკას; განიხილავს



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სხვადასხვა სლავური ტომების საერთო გენეზისის მქონე კულტურის როგორც საერთო, ისე განსხვავებულ ნიშნებსა და თავისებურებებს; • მიმოიხილავს ძველი სლავური ენის და სლავური დამწერლობის აღმოცენების და შემდგომი ფუნქციონირების კვლევის ისტორიას; საფუძვლიანად ერკვევა ძველი სლავური ენის სისტემის ფონეტიკური და გრამატიკული აგებულების ძირითად პრინციპებში მათი წარმოშობის თვალსაზრისით და მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; აღწერს ძირითად მსგავსებას და განსხვავებას სლავურ ენებს შორის მათში წინარე სლავური ენის მემკვიდრეობის შენარჩუნების სპეციფიკის გათვალისწინებით; • განსაზღვრავს სლავური ქვეყნების (რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა) XIX - XX საუკუნეების მასობრივი ლიტერატურის ძირითად ნიშნებს, ჟანრობრივ სისტემას, მისი შესწავლისა და კვლევის მიდგომებს და ადგილს აღნიშნული ეპოქის მხატვრულ კულტურაში. აღწერს მასობრივი ლიტერატურის მეთოდოლოგიური მიდგომებით შესწავლის ძირითად პრინციპებს, საკვანძო ტენდენციებს, ტექსტებს, ფიგურებსა და მოვლენებს. • სისტემურად აღწერს რუსული/პოლონურ/უკრაინული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს სკოლებს, ცალკეულ ავტორებსა და წამყვან ჟანრებს; ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების კვლევის პრობლემატიკას, მათ მიმართებას ქართულ ლიტერატურულ პროცესთან. • აღწერს რუსული ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ძირითად ეტაპებს; ახდენს XVIII - XX ს-ის რუსული ენათმეცნიერების ძირითადი კვლევითი პრობლემატიკის ინტერპრეტირებას; მიმოიხილავს თანამედროვე რუსული ენის აქტუალურ პრობლემათა წრეს და მათი გადაჭრის განსხვავებულ მიდგომებს.
ბ) უნარები	• ერთმანეთს უდარებს აღმოსავლეთ სლავური და დასავლეთ სლავური ხალხების ძირითად მსგავსებებსა და განსხვავებებს განათლების, ლიტერატურის, სამონასტრო კულტურისა და ხელოვნების დარგში; აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების ანალიზის საფუძველზე ახდენს იმ ეპოქის სოციალური და



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	თეოლოგიური მოვლენების რეკონსტრუქციას და სწორად აღქმას; • სლავური კირილიციტ დაწერილ საშუალო სირთულის ძველ ტექსტებს ურთავს სათანადო ისტორიულ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ კომენტარებს; ახდენს ძველი სლავური ენის ფაქტების კვალიფიკაციას მათი წარმოშობის და სისტემური მნიშვნელობის შესაბამისად; ერთმანეთს ადარებს თანამედროვე სლავური ენების ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ერთი სათავეებიდან - წინარე სლავური ენიდან - მოდიან; • ღრმად აანალიზებს მხატვრული ტექსტის კვლევით ფორმებს და ძირითად ცნებებს, სტილისტიკის პრინციპებსა და კატეგორიებს; ტექსტის თეორიული ანალიზის საფუძველზე, ავლენს სხვადასხვა დონეებზე მხატვრული ნაწარმოებების ქვეტექსტური სტრუქტურების გამოვლენისა და ნაწარმოებებში ქვეტექსტური სტრუქტურის მნიშვნელობის განსაზღვრის უნარს, ასხვავებს ავტორთა ქვეტექსტური სტრუქტურების თავისებურებებს. • ისმენს, კითხულობს, თარგმნის, განმარტავს, ადგენს მოდულის მაპროფილეზელ ენაში (რუსული/პოლონური/უკრაინული) სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში, ზეპირი და წერილი თარგმანისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. ათვისებულ ლექსიკურ მარაგს მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს საუბრისას, დისკუსიის წარმართვისას და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში; განსაზღვრავს და ახასიათებს რუსულიდან/პოლონურიდან/უკრაინულიდან ქართულად და პირუკუ წერილობითი და ზეპირი თარგმანის ზოგად პრინციპებსა და სპეციფიკას, თარგმნის სხვადასხვა სირთულის ტექსტებს (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული) ამ სპეციფიკის გათვალისწინებით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• აქვს პროფესიული ზრდის მოთხოვნილება; ზრუნავს დარგში უახლესი მეცნიერული მიღწევების გაცნობისა და ათვისებისათვის. • ახდენს დროისა და შრომის ორგანიზებას და აყალიბებს



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საკუთარი თავის მოტივირების უნარს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები. დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობის სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზასასწავლის; როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები.
შეფასების სისტემა	სასწავლო კომპონენტის შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას – (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას – (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულა), ფორმდება F- 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ: • საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე; • სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში; • კულტურის სფეროს დაწესებულებებში; • ტურიზმის სფეროში; • ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები და სხვ.); • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან უცხოური ენების პრაქტიკუმს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტის ძირითადი აკადემიური პერსონალი: 1. პროფ. მ. ფილინა 2. ასოც. პროფ. მ. ალექსიძე 3. ასოც. პროფ. ი. კაპანაძე 4. ასოც. პროფ. მ. თუხარელი 5. ემირ. პროფ. ნ. ჭოხონელიძე ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტისა მოწვეული ლექტორები: 1. ფილ. დოქტ. ი. ძნელაძე 2. ფილ. დოქტ. ივანე მჭედელაძე 3. ფილ. დოქტ. სოფიო ჩხატარაშვილი 4. ფილ. დოქტ. ნინო ნასყიდაშვილი 5. ფილ. დოქტ. ა. ავაკოვა 6. ფილ. მაგისტრი ბ. კარასი სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტრებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	